

## კითხვარი 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის

გთხოვთ უპასუხოთ თემატურად დაჯგუფებულ შეკითხვებს. თითოეული კითხვის პასუხი არ უნდა აღემატებოდეს 250 სიტყვას. შეგიძლიათ არ უპასუხოთ შეკითხვებს, რომლებზეც პარტიას ჯერჯერობით არ აქვს გამოკვეთილი მკაფიო პოზიცია ან, მისივე შეფასებით, ესა თუ ის საკითხი არ საჭიროებს ცალკე პოლიტიკის გატარებას.

### COVID 19-ის პანდემიის შედეგებთან გამკლავება: ეკონომიკა და საზოგადოება

COVID 19-ით გამოწვეულმა პანდემიამ სერიოზული დარტყმა მიაყენა საქართველოს ეკონომიკას და მნიშვნელოვნად შეცვალა ჩვენი ცხოვრების ყოველდღიური წესი. შემოთავაზებული შეკითხვებიდან რამდენიმე ეხება თქვენი პარტიის როგორც ეკონომიკურ, ისე ზოგად გეგმებს, მათ შორის პანდემიის ნეგატიური შედეგების აღმოსაფხვრელად შემუშავებულ ღონისძიებებს:

**1. როგორია თქვენი პარტიის გეგმა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა არის პრიორიტეტული პარტიის ეკონომიკურ სტრატეგიაში და რა კონკრეტულ ინიციატივებს სთავაზობთ ამომრჩეველს?**

„რეფორმატორებს“ Covid-19-ის პანდემიამ და მისმა გლობალურმა შედეგებმა დაგვანახვა ადგილობრივი წარმოების, სასურსათო თვითუზრუნველყოფის, მიწოდებისა და განაწილების ქსელების დივერსიფიკაციის აუცილებლობა. კომპანიები, საწარმოები, სხვადასხვა სერვისის მიმწოდებლები პარალიზებულები აღმოჩნდნენ მკაცრი იზოლაციის პირობებში. ეს შეფერხებები პირდაპირ აისახა ქვეყნების როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ მდგომარეობაზე. ჩვენი ეკონომიკური გუნდის გათვლით, ვირუსული პანდემიები საგრძნობლად შეცვლის მსოფლიო სოციალურ-ეკონომიკურ მოდელს მომავალი ათწლეულის განმავლობაში. ამიტომაც ეკონომიკური მოდელები უნდა გახდეს უფრო ავტონომიური და, რაც მთავარია, პასუხობდეს მდგრადი განვითარების მიზნებს.

ამდენად, ჩვენ მიერ შემუშავებული ეკონომიკური მოდელი ეფუძნება მიწოდებისა და განაწილების ქსელების რეგიონალურ კონცეფციას, ინფრასტრუქტურული და ტექნოლოგიური ინოვაციების კონცენტრაციას, სოფლის მეურნეობის წილის გაზრდას მთლიან შიდა პროდუქტში და იმპორტჩანაცვლებით სტრატეგიასა და რეგიონალური მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. სურსათის, სასურსათო პროდუქციის გადამამუშავებელი და შესანახი, მაღალტექნოლოგიური ინფრასტრუქტურულ-ლოჯისტიკური ჰაბი, ქვეყნის საზღვაო-საპორტო პოტენციალის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანი ფაქტორი გახდება. რეგიონების განვითარების ასიმეტრია და ეკონომიკური მოდელების არამდგრადობა მომავალში შესაძლოა დაკავშირებული იყოს ახალ გამოწვევებთან, კლიმატის ცვლილებასთან თუ გლობალურ პანდემიებთან. ამიტომ საქართველომ მსგავს გამოწვევებს უნდა უპასუხოს ციფრული ეკონომიკის, მწვანე ეკონომიკის, ინკლუზიური ეკონომიკის შესაძლებლობების გაძლიერებით. შემუშავდება კრიზისიდან გამოსვლის მოკლე და გრძელვადიან შედეგებზე ორიენტირებული სტრატეგია, რომლის პრიორიტეტიც იქნება ჩვენი

მოქალაქეების კეთილდღეობა, ჯანმრთელობა და ადამიანური კაპიტალის გონივრული გამოყენება.

არსებული ტენდენციების გათვალისწინებით, მნიშვნელოვან რეფორმას ვთავაზობთ შიდა ინვესტირების სახით ადამიანური კაპიტალის გასაძლიერებლად. ეს შესაძლებელი გახდება თანამშრომლებისთვის სამუშაო ადგილების შენარჩუნებით, ანუ ახალი უნარების შესაძენად აუცილებელია სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების შეთავაზება და სადაზღვევო სერვისების ხელმისაწვდომობის გაზრდა, განსაკუთრებით სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის. მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდაჭერისა და მთლიან შიდა პროდუქტში ეროვნული პროდუქციის მოცულობის გაზრდის მიზნით შემუშავდება ფისკალური მექანიზმები გრძელვადიანი მიზნობრივი საგრანტო და განვითარების პროგრამების სახით.

## **2. რა ზომების გატარებას აპირებთ როგორც შიდა, ისე პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობის გასაზრდელად ქვეყანაში?**

„რეფორმატორების“ ეკონომიკური განვითარების პროგრამაზე მომუშავე გუნდს მნიშვნელოვნად მიაჩნია:

- მიზნობრივი და პირდაპირი ინვესტიციების განხორციელება მაღალკვალიფიციური და მაღალპროფესიული, კონკურენტუნარიანი ადამიანური რესურსების პოტენციალის გასაძლიერებლად;
- მონიტორინგი სახელმწიფო სუბსიდიების განხორციელებისას, რაც ხშირ შემთხვევაში დარგების განვითარების ასიმეტრიის საფუძველი ხდება;
- თავისუფალი ვაჭრობისა და თავისუფალი ეკონომიკური ზონის პრინციპების ხელშეწყობა, რაც გააძლიერებს საინვესტიციო მიმზიდველობას და გაზრდის კრედიტებზე წვდომას გრძელვადიანი კაპიტალდაბანდებების სახით;
- საქართველოში ელექტრომობილის წარმოების ხელშეწყობა;
- ჩინეთის სახალხო რესპუბლიკიდან საწარმოო ობიექტების ჩვენს რეგიონში გადმოტანა;
- აგროსამრეწველო ინდუსტრიის განვითარების მიზნით აგროინდუსტრიული ზონების შექმნა და კლასტერების ჩამოყალიბება, სადაც სასურსათო ინდუსტრია პირდაპირ იქნება დაკავშირებული ტურიზმის სექტორებთან.

საწარმოო ინდუსტრიაში, ეროვნული პროდუქციის ფართო სპექტრში, მაღალი დონის ადამიანური კაპიტალის გამოყენებით და ლოჯისტიკური უპირატესობებით საქართველოს შეეძლება აქტიურად იყოს ინტეგრირებული როგორც რეგიონალური, ისე გლობალური მიწოდების ქსელებში, გრძელვადიან პერსპექტივაში კი უფრო მეტ უცხოურ კაპიტალს მოიზიდავს.

ამდენად, საგადასახადო სისტემის რეფორმა უმთავრესი საკითხია, რომლის ინიცირებისთვის მომზადებული გვაქვს საგადასახადო პრეფერენციები მოკლე და გრძელვადიანი ფისკალური ეფექტის გათვლით. თანამედროვე ინოვაციურ-ტექნოლოგიურ პლატფორმაზე აგებული ბიზნესმოდელები ინტეგრირდება რეგიონალური განვითარების სტრატეგიული გეგმების

შესაბამისად და ამის საფუძველზე შემუშავდება წინადადებები როგორც შიდა, ისე საგარეო საინვესტიციო პირობებისთვის.

ეკონომიკის მასტიმულირებელი ღონისძიებები ორიენტირებული იქნება:

- დასაქმების, სოციალური და ეკონომიკური განვითარების, ბიზნესპროდუქტების დივერსიფიკაციის შესაძლებლობებზე;
- განახლებადი ენერჯის, შავი ზღვის ეკონომიკური, სატრანსპორტო და აკვაკულტურული პოტენციალის მაქსიმიზაციაზე;
- ახალი ეკონომიკური ე. წ. „დრაივერების“ შექმნასა და განვითარებაზე;
- საქართველოში დაბალემისიებიანი ტექნოლოგიების წარმოების ხელშეწყობასა და საინვესტიციო კლიმატის შექმნაზე.

**3. გეგმათ თუ არა კონკრეტული პოლიტიკის შემუშავებას და მის განხორციელებას სოფლის მეურნეობისა და სასურსათო უსაფრთხოების გასაძლიერებლად? თუ ასეა, გაგვიზიარეთ ამ პოლიტიკის ძირითადი ასპექტები.**

აგრარული პოლიტიკა „რეფორმატორების“ საარჩევნო პროგრამის უმთავრესი პრიორიტეტია. ჩვენი დაბალანსებული რეფორმების შედეგად სოფლის მეურნეობა გახდება ერთ-ერთი განვითარებული დარგი, რასაც ინოვაციური ტექნოლოგიების, ტრადიციული და თანამედროვე ცოდნის ინტეგრაციით მივაღწევთ.

ქვეყნის არასწორი აგრარული პოლიტიკის გამო იმპორტირებულ სასურსათო პროდუქციას ადგილობრივი ბაზრის თითქმის 80% უკავია, და ეს მაშინ, როდესაც არსებული სტატისტიკის მიხედვით მთლიანი მოსახლეობის 53% დასაქმებულია სოფლის მეურნეობაში და ქვეყანას გააჩნია ბუნებრივ-კლიმატური, ნიადაგური რესურსი წარმატებული სოფლის მეურნეობისთვის. არსებული საკანონმდებლო ბაზა არ იძლევა სასოფლო-სამეურნეო მიწების ეფექტიანად მართვისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივებად ჩამოყალიბების საფუძველს, ამიტომ „რეფორმატორების“ აგრარული პოლიტიკა დაეფუძნება მაღალკვალიფიციური ფერმერების ცოდნასა და გამოცდილებას, მეწარმეთა და ფერმერთა კონკურენტუნარიანობის განმტკიცებას. შვეიცარიულ მოდელზე დაყრდნობით, შეიქმნება ახალგაზრდა და დამწყებ ფერმერთა ხელშეწყობი სათემო ბანკები, რითაც გაჩნდება ხელსაყრელი გარემო ახალი ბიზნესმოდელების შესამუშავებლად.

სათიბ-სამოვრები, მათი ეფექტური გამოყენების მიზნით, ადგილობრივ თვითმმართველობებს გადაეცემა. განისაზღვრება საოჯახო მეურნეობისა და ფერმერის სტატუსი. შეიქმნება რეგიონალური მიწის ფონდი, რაც ხელს შეუწყობს შიდა და გარე ინვესტიციების მოზიდვას.

ჩვენი პრიორიტეტია მაღალმთიანი და საზღვრისპირა რეგიონების აგრარული პოტენციალის ხელშეწყობა, ალპური და სუბალპური მეცხოველეობის განვითარება, ორგანული სოფლის მეურნეობის ზონების შექმნა და მხარდაჭერა, რაც თავისთავად აგროტურიზმს შეუწყობს ხელს.

კლიმატადაპტირებადი ახალი მარცვლეულისა და სხვა საკვები კულტურების კულტივაციასთან ერთად, სახელმწიფო წახალისებს აგრარული ბიომრავალფეროვნების შექმნას, ენდემური ჯიშებისა და სახეობების, პოპულაციების მოვლას, გამრავლებასა და კონსერვაციას.

ამოქმედდება სახელმწიფო პროგრამები აგროეკოლოგიისა და გარემო რესურსების დამზოგავი ტექნოლოგიების დასაწერად. უმთავრესი პრიორიტეტი გახდება ირიგაცია-მელიორაციის, სასოფლო-სამეურნეო უახლესი ტექნოლოგიების დანერგვა, რისთვისაც შემუშავდება სოფლის მეურნეობის სფეროში საინფორმაციო სისტემებისა და მონაცემთა ბაზის გაცვლის, ე.წ. ბლოკეინ სისტემები.

ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად ჩამოყალიბდება საოჯახო მეურნეობებისა და სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების საგანმანათლებლო ცენტრები.

მეცხოველეობის დარგის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, სახელმწიფო გრძელვადიანი საგრანტო კომპონენტების ფარგლებში, მოახდენს სუბსიდირებას მაღალხარისხიანი რძისა და რძის პროდუქტების, აგრეთვე ხორცის პროდუქტების საწარმოების გასახსნელად.

**4. ისახავს თუ არა თქვენი პარტია მიზნად იმგვარი პოლიტიკის შემუშავებას, რომელიც ტურიზმის, მასთან დაკავშირებული სექტორებისა თუ დარგების თანადგომასა და გაძლიერებას გულისხმობს? თუ ასეა, რა პოლიტიკას გაატარებთ ტურიზმის სფეროს მხარდასაჭერად, მათ შორის მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული მეურნეობებისთვის?**

საქართველოში ტურიზმისა და ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარების, შიდა და გარე ტურიზმის მიმართულებებით შემუშავებული გვაქვს აგროტურიზმის, სასოფლო და ეკოტურიზმის, გასტრონომიული და სანახაობითი ტურიზმის, ფოლკლორული და რელიგიური ტურიზმის განვითარების პროგრამა, რომლის ერთ-ერთი ძირითადი მიზანი მცირე (საოჯახო) და საშუალო ზომის ტურისტული ბიზნესის ხელშეწყობაა.

არსებული მდგომარეობით, საქართველოს ტურისტული ბიზნესი ადგილობრივ და საერთაშორისო ტურისტს უმეტესწილად სთავაზობს სასტუმრო მომსახურებას და საკვებს, რომლის 80% იმპორტირებულია. „რეფორმატორები“ ვგეგმავთ ამ სფეროს სრულ ინტეგრაციას სოფლის მეურნეობის ადგილობრივ წარმოებასთან და რეგიონალურ თუ გეოგრაფიულ კლასტერებად ჩამოყალიბებას.

ეროვნულ ეკონომიკაში ტურიზმის გავლენის გაძლიერებასა და შემოსავლების ზრდას დიდწილად განაპირობებს საოჯახო და აგროტურისტული ინფრასტრუქტურის გაფართოება, მომსახურების ხარისხისა და ამ სფეროში დასაქმებულთა კვალიფიკაციის ამაღლების შესაძლებლობების განვითარება.

პანდემიასთან დაკავშირებული გლობალური კარანტინის გამო ტურისტული სერვისის ოპერატორები და სასტუმროები 2 წლით გათავისუფლდებიან დამატებითი ღირებულების გადასახადისგან. შრომის ბაზრის მეშვეობით ტურიზმს მიეცემა პოტენციური კავშირების

განვითარების შესაძლებლობა სხვა სექტორებთან, განსაკუთრებით - სოფლის მეურნეობასთან და მეთევზეობასთან. ასევე შექმნას „კარგი სამუშაოები“, რომელიც ხასიათდება ჯანმრთელი, უსაფრთხო და მისაღები სამუშაო პირობებით.

კრიზისული სიტუაციების გამოცდილებამ გვაჩვენა, რომ ტურიზმის სეგმენტები, სხვა დარგებთან შედარებით, გამოირჩევა კრიზისის მგრძობელობით. ამდენად, ჩვენი შეთავაზებაა, რადიკალურად შეიცვალოს ტურიზმის დაბეგვრის სისტემა და შემცირდეს ფიქსირებული იჯარის მოცულობა. კრიზისის დროს სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ეს სექტორი მოკლევადიანი საგრანტო და სასესხო პროდუქტებით, აგრეთვე ფინანსური ლიკვიდობით. ამით შეძლებისდაგვარად შემცირდება უარყოფითი შედეგები განსაკუთრებით დამწყები და ახლად დაფუძნებული ტურისტული სეგმენტებისთვის. იმის გამო, რომ ჩვენი ქვეყნის ეროვნული ეკონომიკა დიდწილად ტურიზმს ეყრდნობა, ჩვენ სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ვგეგმავთ შინამეურნეობების ტურიზმში ინტეგრაციას და მათი შემოსავლის წყაროების დივერსიფიკაციას, რენტაბელობის ამაღლების მიზნით.

## **5. გეგმავთ თუ არა პანდემიის დროს დაწესებული საშელავათო სისტემის შეცვლას? თუ ასეა, როგორია თქვენი გეგმა?**

მოსახლეობის 80% სრულიად დაუცველი შეხვდა ამ კრიზისს. მიუხედავად იმისა, რომ დაწესებული შელავათები თითქოს უმსუბუქებდა მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ნაწილს არსებულ გაჭირვებულ მდგომარეობას, კომუნალური გადასახადების, საბანკო დავალიანებების, იპოთეკური სესხების გადავადებით პრობლემების მოგვარების დრომ უბრალოდ რამდენიმე თვით გადაიწია. „რეფორმატორებისთვის“ უმნიშვნელოვანესია თითოეული დაუცველი მოქალაქის ზუსტი იდენტიფიცირება და მათთვის დამატებითი დისტანციური სამუშაო შესაძლებლობების გაჩენა.

ქვეყნის მოქმედი ხელისუფლება უგულვებელყოფს მოსახლეობის გადარიბებული ნაწილის პრობლემებს. თუ არ შეიცვლება არსებული ანტიკრიზისული გეგმა და მიდგომა, არ გატარდება საშელავათო სისტემების სრული რეფორმა, მათ სრული კატასტროფა ემუქრებათ. ჩვენი ამოცანაა მოსახლეობის კრიზისიდან გამოყვანა და არა მათი კრიზისული მდგომარეობით მანიპულირება. ანტიკრიზისული გეგმის ნაწილში სრული აბსურდია ფერმერებისთვის 200-ლარიანი ვაუჩერის შეთავაზება. არსებული ბიუროკრატიული კანონმდებლობა სასოფლო-სამეურნეო მიწების რეგისტრაციის შესახებ ფერმერებს მიწების რეგისტრაციასა და საკუთრების უფლების მიღებას ურთულებს. სახელმწიფომ ხელიდან გაუშვა შესაძლებლობა ფერმერებისთვის მიეწოდებინა დროული და კვალიფიციური ინფორმაცია და შეეთავაზებინა სასოფლო-სამეურნეო მიწების ნებაყოფლობითი კონსოლიდაციის მოდელი. ამით ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანეს სასურსათო უსაფრთხოების საკითხს ნაწილობრივ მაინც გადავჭრიდით და ერთწლიანი კულტურების მოსავლის მიღებით სურსათით თვითუზრუნველყოფას მივაღწევდით. სახელმწიფოში სოფლის მეურნეობაზე კვლავ მავნე ზეგავლენას ახდენენ დარგისგან შორს მდგომი და კერძო ინტერესებზე ორიენტირებული საჯარო მოხელეები, რაც რადიკალურად შეიცვლება „რეფორმატორების“ ხელისუფლებაში.

**6. რა ღონისძიებებს მიმართავთ ქვეყანაში არსებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მათ შორის საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცეებში?**

ცენტრალიზებული სისტემები საქართველოში არ არის ეფექტიანი, მათ შორის განათლების საკითხებში. აქედან გამომდინარე, განსაკუთრებით აღვნიშნავთ დეცენტრალიზაციის პროცესების მნიშვნელობას, მუნიციპალური ფონდების ხელშეწყობასა და განვითარებას ლოკალურად ინტერნეტის მიწოდების სერვისებისა თუ ხარისხის გაუმჯობესების მიზნით. ეს ერთ-ერთი გადაწყვეტი ინფრასტრუქტურულ მოთხოვნაა დისტანციური სწავლების ორგანიზებისთვის. მეორე მხრივ, აუცილებელია რეგიონებში, დიდ ქალაქებში საჯარო სკოლების პედაგოგთა მომზადება და გადამზადება, რათა ისინი დაეუფლონ დისტანციური სწავლების ფორმებსა და მეთოდებს, ეფექტურად გამოიყენონ ტექნოლოგიური შესაძლებლობები.

**7. პანდემიამ განსაკუთრებული პრობლემები შექმნა განათლების ხელმისაწვდომობისა და ხარისხის მხრივ, განსაკუთრებით იქ, სადაც მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ხელი არ მიუწვდებათ უწყვეტ ინტერნეტსა და კომპიუტერულ ტექნიკაზე. როგორია თქვენი გეგმა ამ პრობლემების დასაძლევად, თუკი კვლავ საჭირო გახდება სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში გადატანა?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

**8. მოკლედ აღწერეთ სხვა ზომები, რომელთა გატარებასაც გეგმავთ (ასეთის არსებობის შემთხვევაში).**

ჩვენი კომპლექსური და შეუქცევადი რეფორმები უკავშირდება ურბანული სოფლის მეურნეობისა და მუნიციპალური ფერმების შექმნის აუცილებლობას, რაც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას, სოფლის მეურნეობის ეროვნული პროდუქციის წილის გაზრდას და ეკონომიკის გაძლიერებას. რედაქტირება სჭირდება სახელმწიფო ორგანულ კანონს შესყიდვების შესახებ. ჩვენ მზად ვვაქვს პროექტი, რომლის თანახმადაც, თუ სოციალურად დაუცველ მოსახლეობას დამატებითი შემოსავალი გაუჩნდება, სახელმწიფომ მათ სოციალური დახმარებები და შემწეობები არ უნდა შეუწყვიტოს. სრულიად წარმოუდგენელია, სოციალურად დაუცველი მოსახლეობისთვის ნაჩუქარი მეწველი პირუტყვი ან სასოფლო-სამეურნეო ტექნიკა გახდეს მათთვის შემწეობებისა და დახმარებების გაუქმების საბაზი. მომზადებული გვაქვს აგრეთვე საკანონმდებლო პაკეტი ურბანული სოფლის მეურნეობის შესახებ.

**პოლიტიკა და ეკონომიკა**

**1. აპირებთ თუ არა რაიმე მნიშვნელოვანი ცვლილებ(ებ)ის ინიცირებას საქართველოს კონსტიტუციაში?**

საქართველოს კონსტიტუცია იურიდიულად მეტ-ნაკლებად გამართულია და პოლიტიკურად აბსოლუტურად გაუმართლებელია!

საქართველოს კონსტიტუცია „რეფორმატორების“ ხელისუფლების პირობებში იქნება ქართველი ხალხის ინტერესებზე მორგებული უზენაესი კანონი, რომლის არსი სრულად ასახავს ქართველი

ერის წარსულს, აწმყოსა და დამოუკიდებელი, სუვერენული, ძლიერი სახელმწიფოებრიობის მომავალს!

საქართველოში ძირფესვიანად უნდა შეიცვალოს კომუნისტური პოლიტიკის მიერ საბჭოთა ფუნდამენტზე წარმოქმნილი მოჩვენებითი სახელმწიფოებრიობის სისტემა! საქართველო უნდა გახდეს საპრეზიდენტო ქვეყანა!

## **2. რა პოლიტიკას განახორციელებთ სასამართლოების დამოუკიდებლობის განსამტკიცებლად, სასამართლო სისტემის მიმართ ნდობის გასამდიერებლად?**

საპრეზიდენტო მმართველობის მოდელზე გადასვლა გულისხმობს ხელისუფლების შტოების მკაცრ გამიჯვნას (საპარლამენტო მმართველობის ფორმისგან განსხვავებით). ეს თავისთავად უზრუნველყოფს სასამართლოს დამოუკიდებლობის ხარისხის მკვეთრ ზრდას, ხოლო დამოუკიდებელი სასამართლოს არსებობა უცილობლად წარმოშობს ნდობას საზოგადოებაში. ამასთანავე, კონსტიტუციაში სრულად იქნება გადმოცემული სასამართლო სისტემის მოწყობის მოდელი, რაც სასამართლოს მუშაობის პროცესში საკანონმდებლო ინტერპრეტაციებს გამორიცხავს.

## **3. რა პოლიტიკას მიმართავთ ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლების უზრუნველსაყოფად?**

„რეფორმატორების“ მიერ სისტემის ფუნდამენტური ცვლილება მოიცავს:

- საპრეზიდენტო მმართველობის ფორმაზე გადასვლას „მცირე მთავრობის“ პრინციპის დაცვით;
- პარლამენტის ფორმირების წესის ცვლილებას;
- პოლიციის ძირეულ რეფორმას - სახელმწიფო და მუნიციპალური პოლიციების შექმნას.

აბსოლუტურად შინაარსშეცვლილი საპოლიციო სისტემა, პოლიციური სტრუქტურების და საზოგადოებრივი კონტროლის მექანიზმების ეფექტური ამოქმედება მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს ძალოვანი სტრუქტურების მაქსიმალურ დეპოლიტიზაციას და ადამიანის პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უზრუნველყოფას.

## **4. როგორი საარჩევნო სისტემა უნდა არსებობდეს საქართველოში?**

პარლამენტის ფორმირება აუცილებელია სრულად რეგიონალური პროპორციული წესის მიხედვით: საქართველოს თითოეული ისტორიული მხარის ამომრჩეველს პარლამენტში უნდა გააჩნდეს მოსახლეობის რაოდენობის პროპორციული მანდატები. სამუშაო ვერსიად განვიხილავთ ყოველ 50 ათას მოსახლეზე ერთ საპარლამენტო მანდატს, თუმცა ეს პროპორცია საბოლოოდ საზოგადოებრივი და საპარლამენტო განხილვების შემდეგ დადგინდება.

პარლამენტის ფორმირების ამგვარი მოდელი შედეგად მოგვცემს:

1. პარლამენტართა შემცირებას 150-იდან 80 დეპუტატამდე, რაც ყოველწლიურად ხალხისთვის დაზოგავს მილიონობით ლარს;
2. რეგიონალური პროპორციული სისტემა ასტიმულირებს და წარმოშობს ადგილობრივ პოლიტიკურ ლიდერებს;
3. საპარლამენტო მანდატების პროპორციული მიმართება ქვეყნის მოსახლეობასთან გაცილებით ლეგიტიმურს ხდის პარლამენტართა რაოდენობის განსაზღვრას და საკანონმდებლო ორგანოს, როგორც პოლიტიკური ინსტიტუტის მიმართ მოსახლეობის ნდობის ზრდას.

**5. რა გეგმები გაქვთ ზოგადად განათლების პოლიტიკის და კონკრეტულად დაწყებითი, საშუალო, პროფესიული და უმაღლესი განათლების ხარისხის გაუმჯობესებისთვის?**

სისტემურ, კონცეპტუალურ ცვლილებებს ვგეგმავთ როგორც სახელმწიფო მოწყობის კუთხით, ისე კონკრეტულ სფეროებში, მათ შორის საგანმანათლებლო სფეროში. დღეს საგანმანათლებლო სისტემის კრიზისი აშკარაა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მსოფლიოს მრავალ განვითარებულ ქვეყანაში, მათ შორის ევროპის ქვეყნებშიც. ჩვენ, „რეფორმატორები“ მუდმივად ვმუშაობთ განათლების ექსპერტებთან, ფსიქოლოგებთან, დარგის სხვა სპეციალისტებთან ერთად განათლების ისეთი კონცეპტუალური მოდელის შესაქმნელად, რომელიც ყველაზე ეფექტიანად გაუმკლავდება თანამედროვე გამოწვევებს. საბოლოოდ შეიქმნება ქართულ მენტალობასთან მაქსიმალურად ადაპტირებული მოდელი, რომელიც იმავდროულად ოპტიმალური განათლების მიღების მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს. ჩვენთვის განათლების სისტემაში პრიორიტეტულია განათლების მაქსიმალური საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის მიღწევა.

**6. გთხოვთ დაასახელოთ კონკრეტული ეკონომიკური პარამეტრები, რომელთა მიხედვითაც შეიძლება შეფასდეს თქვენი ფისკალურ-ეკონომიკური პოლიტიკის შედეგები 2024 წელს.**

იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი პარტიის - „რეფორმატორების“ საარჩევნო პროგრამა ეფუძნება და ითვალისწინებს გრძელვადიან, კომპლექსურ და შეუქცევად ეკონომიკურ, სოციალურ, საგანმანათლებლო და სამართლებრივ-კულტურულ რეფორმებს, სწორი პოლიტიკის გატარებით და ჩვენი გათვლებით, 2024 წლისთვის შევძლებთ:

- საქართველოს ფისკალური მდგომარეობა იყოს სტაბილური;
- სავალუტო კურსი წლიური ინფლაციის გათვალისწინებით იქნება 1.5% მდე;
- საქართველოს მთლიან შიდა პროდუქტში სოფლის მეურნეობისა და კვების პროდუქტების წილის 45-50%-მდე გაზრდას სახელმწიფოს, კერძო და საჯარო პარტნიორობის ფარგლებში განხორციელებული შიდა და გარე ინვესტიციების გზით.

„რეფორმატორების“ ხელისუფლების პირობებში 2024 წელს 5.8%-ით გაიზრდება ქვეყნის ეკონომიკა. იმ დროისთვის ეკონომიკური საქმიანობა დასტაბილურდება, ხოლო შემდგომ პერიოდში საქართველო შეძლებს ადგილობრივ ბაზრებზე თვითუზრუნველყოფას და საექსპორტო პოტენციალის გაორმაგებას. ამ საქმეში დიდ როლს შეასრულებს „ლურჯი



ეკონომიკის“ ჯერ კიდევ გამოუყენებელი რესურსების რაციონალური გამოყენება და დივერსიფიცირება.

**7. დაასახელეთ სახელმწიფო ხარჯების თქვენთვის მისაღები პროპორცია მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებით, თუკი ამ საკითხზე უკვე გაქვთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული პოზიცია.**

საქართველოს, როგორც მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციის (WTO) წევრი ქვეყნის მოქნილობა და თავისუფლება ფისკალური პოლიტიკის გარკვეულ მიმართულებებზე არგუმენტირებულ, დაბალანსებულ საბიუჯეტო პრიორიტეტებს გულისხმობს. ჩვენი გათვლებით, შიდა საბიუჯეტო ხარჯების პროპორცია მთლიანი შიდა პროდუქტის მატებაზე დიდად იქნება დამოკიდებული შემდეგ გარემოებებზე:

- რამდენად სწორად ჩამოყალიბდება ქვეყნის ბიუჯეტის პრიორიტეტული ნაწილი;
- რამდენად სწორად განხორციელდება ქვეყნისთვის ძალზე საჭირო და აუცილებელი დეცენტრალიზაციის რეფორმა;
- რამდენად ეფექტიანად ჩატარდება რეგიონების თანაბარი, ადეკვატური განვითარების სახელმწიფო რეფორმა.

სახელმწიფო ბიუროკრატიული აპარატის შემცირება და სახელმწიფოს მხრიდან რეგიონალური ინიციატივების მხარდაჭერა პრინციპით - „ქვემოდან ზემოთ“ გაცილებით ეფექტურ ეკონომიკურ და ფისკალურ პლატფორმებს შექმნის დივერსიფიცირებული აგრობიზნესის, ტექნოლოგიური და ინოვაციური, ლოჯისტიკური და ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის. მათი განხორციელების გარეშე ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებს ვერ შესთავაზებ დაბალი თვითღირებულების, მაგრამ მაღალი ხარისხის პროდუქტებს.

**8. როგორია თქვენი პოლიტიკა სახელმწიფო ვალისა და საბიუჯეტო დეფიციტის მიმართ?**

უნდა შემუშავდეს ბიუჯეტის ვალდებულებათა ნაწილის ძირითადი კლასიფიკაციები და განისაზღვროს ეკონომიკური პრიორიტეტები, რაც ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ცვლილების ფუნქციური მართვის საშუალებას მოგვცემს. სახელმწიფო ვალი წარმოადგენს ვალდებულებათა ნაწილს, რომლის წარმოშობა ხშირ შემთხვევაში ხარჯების არაორგანიზაციული მართვის შედეგია. საერთო-სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის ვალების სტრუქტურირება არ შეიძლება გაზრდილი გადასახადებისა და გამვირებული სახელმწიფო სერვისების საფუძველზე.

ძალზე მნიშვნელოვანია სახელმწიფო რეზერვების, საბიუჯეტო ვალდებულებების, ადგილობრივი და საგარეო ვალების წარმოქმნა-დაფარვის ზუსტი პირობების შესწავლა; აგრეთვე მოსახლეობის ცნობადობის ამაღლება სახელმწიფო ბიუჯეტის საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტიდან გასაცემი ფულადი სახსრების (ვალების) შესახებ. ამგვარი მიდგომით დროულად გადაწყდება დეფიციტისა და ფულადი ემისიების ჩართვის აუცილებლობა.

**9. გაქვთ თუ არა საჯარო სამსახურის შემდგომი განვითარების/რეფორმის გეგმა? რა არის მისი პრიორიტეტები?**

ერთხელ და სამუდამოდ უნდა ჩამოყალიბდეს საჯარო მოხელეთა, სპეციალისტთა „კლასი“, რომელიც ხელისუფლების ცვლილების მიუხედავად დამოუკიდებლად იარსებებს. ამით შეიქმნება საჯარო მოხელეების სტაბილური საქმიანობის პირობები. დასაქმებულს არ ექნება იმის განცდა, რომ პოლიტიკური ან სხვა შეხედულებებისა თუ ფაქტორების გამო ის არ დაკარგავს სამსახურს, თუ დაკისრებულ საქმიანობას ახორციელებს პროფესიონალურად.

ამ ამოცანის შესასრულებლად „რეფორმატორები“ ვგეგმავთ, ერთი მხრივ, პროფესიული კადრების გადამზადების პროგრამების აქტიურად ამოქმედებას და, მეორე მხრივ, შრომის კოდექსის ცვლილებას დასაქმებულის უფლებების უკეთ დასაცავად.

ჩვენ დავასრულებთ სამსახურებიდან დასაქმებულთა უცერემონიოდ დათხოვის მახინჯ პრაქტიკას.

### საზოგადოებრივი და სოციალური საკითხები

#### **1. რა პოლიტიკის და კონკრეტული ღონისძიებების განხორციელებას გეგმავთ ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და მისი ხარისხის ასამაღლებლად?**

ჯანდაცვის ხელმისაწვდომობისა და ხარისხის გასაუმჯობესებლად გადაიხედება დაზღვევისა და სოციალურად დაუცველთა რეგულირების სფერო. „რეფორმატორები“ კონცეპტუალურად შეეცვლით მიდგომებს ჯანდაცვისა და დაზღვევის პოლიტიკაში.

მინიმუმამდე შევამცირებთ ბიუროკრაციას. გაბატონებული ფურცელომანია მძიმე ტვირთად აწევს ისედაც რთულ მდგომარეობაში მყოფ ჩვენს ხალხს, ამიტომაც საქმის წარმოება სრულად ელექტრონულ სისტემაზე გადავა. მოქალაქეებს, რომლებსაც ესაჭიროებათ და ეკუთვნით სახელმწიფო სამედიცინო ან სხვა სახის მომსახურება ჯანდაცვის სფეროში, აღარ მოუწევთ კლინიკიდან კლინიკაში, თვითმმართველობის ორგანოდან ჯანდაცვის სამინისტროში და ისევ კლინიკაში სიარული, დროის, ნერვებისა და ფულის ხარჯვა. სისტემას მოვაწყობთ იმგვარად, რომ სახელმწიფო სერვისების მიღებასთან დაკავშირებული ყველა ინფორმაცია იქნება სისტემატიზებული, რაც გამორიცხავს დამატებით ბიუროკრაციას.

#### **2. რა ინიციატივებს (თუკი ასეთი გაქვთ) სთავაზობთ მოსახლეობას სოციალური უსაფრთხოების გაუმჯობესების მიზნით?**

სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გამოსასწორებლად აუცილებელია, სახელმწიფოს ყოველთვიური დახმარება და შემწეობა ჩანაცვლდეს თითოეული მოქალაქის ინტეგრაციის შესაძლებლობების გაზრდით. ეს უნდა განხორციელდეს მუნიციპალური ფერმების, მეურნეობების, ურბანული სოფლის სამეურნეო-საოჯახო ტურიზმის სფეროებში ჩართვის გაადვილებული და გამარტივებული სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების საფუძველზე. შეუძლებელია არ გამოვიყენოთ აღმოსავლეთ ევროპისა და სხვა ქვეყნების წარმატებული მაგალითები.

მოსახლეობის სოციალურად დაუცველ ნაწილს გაუჩნდება დასაქმებისა და ახალი პროფესიების ათვისების, კვალიფიკაციის ამაღლების პერსპექტივა. ჩვენი პრიორიტეტია, სასტარტო, შეღავათიანი და გრძელვადიანი საგრანტო პროგრამებით და ცოდნის გაზიარების გზით ეკომიგრანტებს, შშმ პირებს, ლტოლვილებსა და პენსიონერებს მიეცეთ განვითარების შესაძლებლობები.

**3. რა პოლიტიკას გაატარებთ იძულებით გადაადგილებულ პირთა საცხოვრებელი და სამუშაო სივრცის უკეთ ორგანიზებისთვის?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

**4. რა წინადადებებს (თუკი ასეთი გაქვთ) გვთავაზობთ უმცირესობათა (რელიგიური, ეროვნული, სექსუალური და სხვ.) უფლებების ეფექტური დაცვისა და ქვეყნის საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში მათი მეტად ინტეგრირებისთვის?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

**5. პარლამენტთაშორისი კავშირის (IPU) მონაცემებით, საქართველო 191 ქვეყანას შორის 144-ე ადგილს იკავებს საკანონმდებლო ორგანოში ქალი დეპუტატების რაოდენობის მხრივ. გთხოვთ, აღწეროთ თქვენი ინიციატივები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც პოლიტიკაში ქალთა თანამონაწილეობის გაზრდა-გაფართოებას ეხება.**

„რეფორმატორების“ პოლიტიკური გუნდის უდიდეს ნაწილს წარმოადგენენ ქალები, და არა იმიტომ, რომ კანონმდებლობაში არსებობს გარკვეული კვოტირება სქესთაშორის ბალანსის დაცვის მიზნით. ეს ბუნებრივად მოხდა. საქართველოში სხვადასხვა ადგილობრივი თუ საერთაშორისო ორგანიზაცია ახორციელებს არაერთ პროექტს პოლიტიკურ-საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალის როლის გააქტიურების მიზნით. „რეფორმატორების“ ხელისუფლების პირობებში მაქსიმალურად შეეწყობა ხელი გენდერული ბალანსის ბუნებრივ დაცვას. სახელმწიფო წახალისებს ცალკეული ორგანიზაციების იმგვარ საქმიანობას, რომელიც ხელს უწყობს „ინერტული გენდერული ჯგუფების“ გააქტიურებას.

**6. რა პრობლემებს ხედავს თქვენი პარტია ბავშვთა უფლებების დაცვის მხრივ და რას აპირებთ ამ მდგომარეობის გამოსასწორებლად?**

„რეფორმატორები“ ბავშვებზე ზრუნვას, მათ ჯანსაღ აღზრდას, მათთვის ხარისხიანი განათლების მიღებისთვის მაქსიმალურად ხელსაყრელი პირობების შექმნას განვიხილავთ არა როგორც კონკრეტული დაუცველი ფენის დაცვის ვალდებულებას, არამედ როგორც სახელმწიფოს მომავლის, განვითარების, უსაფრთხოებისა და მდგრადობის აუცილებელ პირობას; მათ შორის ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისითაც.

სახელმწიფომ უნდა უზრუნველყოს ბავშვზე ზრუნვა მუცლად ყოფნის დროიდან, შეუქმნას ჯანსაღი და ხელსაყრელი პირობები, დააკმაყოფილოს არა მხოლოდ მატერიალური, არამედ დამოკიდებულებითი, მენტალური გარემოთი.

ჩვენ აქტიურად ვსწავლობთ ამ მიმართულებით ისეთი ქვეყნების გამოცდილებას, როგორცაა დანია, შვედეთი, ნორვეგია და აშ. მათი გამოცდილების გაზიარებით, ქართული რეალობისა და ბუნების გათვალისწინებით შევქმნით ბავშვზე ზრუნვის ოპტიმალურ, ადაპტირებულ მოდელს.

**7. როგორია თქვენი თვალსაზრისი ქვეყნის კულტურის პოლიტიკის შესახებ?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

**8. გთხოვთ დაგვისახელოთ თქვენი წინადადებები (თუკი ასეთი გაქვთ), რომლებიც ხელს შეუწყობს ეკოლოგიურად უფრო ჯანსაღი და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს შექმნას.**

ხელი შეეწყობა ეკოლოგიური სისტემების შექმნას სოფლებისა და ქალაქების გეოგრაფიული არქიტექტურის მიხედვით; საფუძველი ჩაეყრება გარემოსდაცვით საგანმანათლებლო ღონისძიებებს სწორედ ურბანულ არეალებში ბიომრავალფეროვნების დაცვის, კონსერვაციის მიმართულებით. ამ საგანმანათლებლო ღონისძიებებისა და პროგრამების ბენეფიციარები უმთავრესად გახდებიან დიდი ქალაქის სკოლების მოსწავლეები და საბავშვო ბაღების აღსაზრდელები.

ურბანულ დასახლებებში შეიქმნება ეკოლოგიური ზონები. ე. წ. მწვანე არქიტექტურისა და მწვანე სახურავების კონცეფციის შემუშავებით შესაძლებელი გახდება ეკო და ბიო სისტემების ქალაქის ინფრასტრუქტურასთან თანაარსებობა.

ეკოლოგიური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად წარვადგენთ გეგმას, რომლის თანახმადაც: მაგნე ემისიებისა და გამონახოლქვის შემცირების მიზნით დაირგვება მრავალწლიანი ნარგავები, რომლებიც შთანთქმავს ნახშირორჟანგს; ქალაქებისა და სოფლების ბუნებრივი ლანდშაფტების შესანარჩუნებლად, ეროზიისა და გაუდაბნოებისგან გარემოს გადასარჩენად ამუშავდება კომპლექსური პროგრამა; განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქალაქის წყლის რესურსებისა და რეზერვუარების ეფექტიან გამოყენებას.

**9. აპირებთ თუ არა სპეციალური პოლიტიკის გატარებას, რის შედეგადაც ქვეყანაში საგზაო მოძრაობის უსაფრთხოება გაუმჯობესდება?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

**10. შემუშავებული გაქვთ თუ არა პოლიტიკური პოზიცია, რათა ხელი შეუწყოთ სამოქალაქო სექტორის/არასამთავრობო ორგანიზაციების გაძლიერებას?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

*საგარეო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები*

**1. გთხოვთ განიხილოთ საგარეო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები. როგორ აპირებთ მათ რეალიზაციას?**

რეგიონში და განსაკუთრებით საქართველოში, რუსულ გავლენას ჩვენ აღვიქვამთ როგორც ეროვნულ საფრთხეს. „რეფორმატორების“ ხელისუფლების პირობებში გამოაშკარავდება და სამართლებრივი შეფასება მიეცემა იმ ორგანიზაციების საქმიანობას საქართველოში, რომელთა დაფინანსების წყარო რუსული კაპიტალია.

ეროვნული უსაფრთხოების რისკების შესამცირებლად აქტიურად ვითანამშრომლებთ ევროპელ და ამერიკელ პარტნიორებთან.

ჩვენ უპირობოდ მივიღებთ ლუსტრაციის კანონს (ერთგვარი გაფართოებული შინაარსით), რომელიც გარკვეულწილად ეროვნული უსაფრთხოების დოკუმენტიც იქნება.

მეტი ტრანსატლანტიკური პოლიტიკური ინვესტიციაა საჭირო ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან. ბოლო რამდენიმე წელში ჩვენ ვხედავდით „რბილ იზოლაციონიზმს“, რამაც წახალისა არასასურველი ეკონომიკური და პოლიტიკური გავლენა რეგიონში, და მათ შორის საქართველოში.

„რეფორმატორები“ სრულიად განსხვავებულ კატეგორიაში გადავიყვანთ საქართველოსა და შეერთებულ შტატებს შორის პარტნიორობისა და მოკავშირეობის საკითხს.

**2. რომელ ქვეყნებთან/ქვეყნების გაერთიანებებთან/ალიანსებთან იზრუნებთ სტრატეგიული, მათ შორის სამხედრო-სტრატეგიული პარტნიორობისა თუ თანამშრომლობის დამყარებისა და განმტკიცებისთვის? რა ნაბიჯებს გადადგამთ ამ მხრივ? რომელი ქვეყანა/გაერთიანება/ალიანსი წარმოგიდგენიათ საქართველოს მთავარ სტრატეგიულ პარტნიორად?**

ჩვენ, „რეფორმატორებს“, საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად სასიცოცხლო მნიშვნელობის საკითხად მიგვაჩნია საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ორმხრივი, სამოკავშირეო, პარტნიორული ურთიერთობების განვითარება და გაღრმავება. აშშ ამჟამადაც საქართველოს სტრატეგიული პარტნიორი და მოკავშირეა, მიუხედავად ამისა, ვგეგმავთ ორი ქვეყნის ინტერესების შეჯერებით ჩვენ შორის კავშირმა შეუქცევადი და მყარი ხასიათი მიიღოს.

**3. რა საკითხებს ანიჭებთ განსაკუთრებულ პრიორიტეტს ევროკავშირთან ასოცირების და ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულებების რეალიზაციის პროცესში?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

**4. რა საგარეო პოლიტიკის გატარებას აპირებთ სამხრეთ კავკასიასა და შავი ზღვის აუზში?**

აუცილებელია ჩვენს მეზობლებთან გვექონდეს არა მხოლოდ პარტნიორული ურთიერთობა, არამედ კიდევ უფრო უნდა გავაღრმავოთ კავკასიის ქვეყნების, ასევე შავი ზღვის აუზის სახელმწიფოების მეგობრული ურთიერთობები და მჭიდრო კავშირი. ამგვარი მიდგომა უზრუნველყოფს რეგიონის ქვეყნების კოორდინირებულ, მწყობრ პოლიტიკას როგორც ეკონომიკური ურთიერთობების კუთხით, ისე საზოგადოებრივ-კულტურული და თავდაცვისუნარიანობის განმტკიცების მხრივ.

„რეფორმატორები“ ვგეგმავთ სიღრმისეული ურთიერთობების დამყარებას ჩვენს პარტნიორ სახელმწიფოებთან ერთმანეთის ინტერესების შეჯერებითა და თანხვედრით.

ეროვნული უსაფრთხოება და ტერიტორიული მთლიანობა

**1. თქვენი თვალთახედვით, როგორი უნდა იყოს საქართველოს ეროვნული უსაფრთხოების ძირითადი არქიტექტურა/პრინციპები?**

ჩვენ შევქმნით ინფორმაციული უსაფრთხოების (კიბერუსაფრთხოების) სისტემას კიბერშეტევების პრევენციის მიზნით. საქართველოში არსებული ყველა სახელმწიფო უწყება, ბანკები და სხვა ორგანიზაციები, ტექნიკური საშუალებების მიუხედავად, დაუცველნი არიან კიბერშეტევებისგან, რადგან ქვეყანაში არ არსებობს სათანადო სახელმწიფო კონტროლი, არ არსებობს უწყება, რომელიც დადგენილი წესის შესაბამისად ეფექტიანად განახორციელებს კიბერშეტევების პრევენციას.

**2. როგორ წარმოგიდგენიათ ქვეყნის თავდაცვის ორგანიზაცია?**

„რეფორმატორები“ უზრუნველვყოფთ სამხედრო და თავდაცვის პოტენციალის არსებით ზრდას, სამხედრო და თავდაცვის სფეროს მაქსიმალურ მხარდაჭერას, შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას, სამხედრო-ტექნოლოგიური კვლევებისა და მათი წარმოების დაფინანსების მნიშვნელოვან ზრდას. ჩვენ ღრმად გვწამს, რომ მშვიდობა/უსაფრთხოება მიიღწევა ძლიერი თავდაცვით!

**3. რა პოლიტიკას გაატარებთ ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.

**4. რა ნაბიჯებს გადადგამთ იმისთვის, რომ უკეთ დაიცვათ ქვეყანა „მცოცავი ოკუპაციისგან“?**

პარტიის პოზიცია ამ კითხვაზე უცნობია.